# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 42

15 თებერვალი
"___" _____ 2022 წ.

ქ. თბილისი

**ქ. თბილისი, ბოჭორიშვილის ქ. 37 „ა"-ში (ს/კ. №01.10.13.023.001) არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულების მიზნით, შპს „ბოჭორიშვილის" (ს/ნ. 405411139) მიმართ მისამართზე ქ. თბილისი, ბოჭორიშვილის ქ. 37ა (ს/კ. №01.10.13.023.001) მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - ,,დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების" 35-ე მუხლისა და „ქ. თბილისი, ბოჭორიშვილის ქ. 37 „ა"-ში (ს/კ. №01.10.13.023.001) არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულების მიზნით, შპს „ბოჭორიშვილის" (ს/ნ. 405411139) მიმართ დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 10 თებერვლის №22.164.181 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ბოჭორიშვილის" (ს/ნ. 405411139) მიმართ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული (2021 წლის 5 აგვისტოს განკარგულება №21.1097.1238) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული (2021 წლის 6 აგვისტოს განკარგულება №362) მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში, მისამართზე ქ. თბილისი, ბოჭორიშვილის ქ. 37ა (ს/კ. №01.10.13.023.001) მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში შემდეგი დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენებაზე - სამშენებლო განვითარებაზე არ გავრცელდეს ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით გათვალისწინებული აკადემქალაქის ქალაქგეგმარებითი ,,A" არეალის შეზღუდვა და

შესაბამისად, გათავისუფლდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავების ვალდებულებისგან.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის**
**საკრებულოს თავმჯდომარე** **გიორგი ტყემალაძე**